ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი წევრის და ფრაქცია „თბილისელები"-ს თავმჯდომარის

გიორგი მუსხელიშვილის
2015 წლის 1 იანვრიდან 1 ნოემბრამდე საქმიანობის ანგარიში

გიორგი მუსხელიშვილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვაკის რაიონის მაჟორიტარი წევრია. გახლავთ საკრებულოს ფრაქცია „თბილისელების" თავმჯდომარე, უპარტიო.

ფრაქციის ძირითადი მიზნებია:

საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების, თავისუფლებების დაცვა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა.

დედაქალაქის მაცხოვრებელთა საქალაქო ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის ხელშეწყობა;

ღია საზოგადოებრივი კამპანია დედაქალაქის წინაშე მდგარი მწვავე და კრიზისული პრობლემების აღმოფხვრის საქმეში;

სკოლამდელი და სასკოლო რეფორმების ხელშეწყობა;

კულტურულ-სპორტული ღონისძიებების ორგანიზება-ხელშეწყობა;

კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა;

თავისუფალი მეწარმეობის ხელშეწყობა;

დედაქალაქის ადმინისტრაციული მართვის სისტემის და არჩევითი ორგანოების საქმიანობის დაქვემდებარება დემოკრატიული პრინციპებისადმი;

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოებისა განყოფილება
ფურცლის რაოდენობა 3 ფურცელი
№010/18526 30-10-15

აღნიშნული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, პოლიტიკურ გაერთიანებებთან, საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, შესაბამისი დარგის ექსპერტებთან და სპეციალისტებთან თანამშრომლობა.

ზემოთ აღნიშნული მიზნების მისაღწევად ფრაქცია იყენებს ყველა კანონიერ გზას, ფორმასა და საშუალებას.

ფრაქცია „თბილისელების" შექმნიდან დღემდე ჩატარდა 20 ფრაქციის სხდომა, სადაც განხილულ იქნა 48 საკითხი.

გიორგი მუსხელიშვილი გახლავთ ქალაქ თბილისის ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიების წევრი.

- ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში 9 თვის მანძილზე ჩატარებულ იქნა 42 სხდომა, განხილულ იქნა 250 საკითხი.
- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში 9 თვის მანძილზე ჩატარებულ იქნა 24 სხდომა, განხილულ იქნა 41 საკითხი.

9 თვის მანძილზე ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარებულ იქნა 25 საკრებულოს სხდომა, 39 ბიუროს სხდომა. მიღებულია 110 დადგენილება და 380 განკარგულება.

ვაკის გამგეობასთან და მუნიციპალიტეტთან ერთობლივი მუშაობის შედეგად შესრულებული სამუშაოები:

1. ფილები დაიგო ტაბიძის ძეგლის მიმდებარედ, ჭავჭავაძის 34.
2. 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზიანებული კედლის მოწყობა, უჩანეიშვილის ქუჩა.
3. კედლების მოწყობა აღდგენა რეაბილიტაცია (ჭავჭავაძის 10, ნაფარეულის 2, ლორთქიფანიძის 18, წყნეთის გზატკეცილი 9-11, უჩანეიშვილის 3 გასასვლელი 4-5

ჩოლოყაშვილის და ანჯაფარიძის კვეთა)
4. კიბეების მოწყობა შეკეთება (კეკელიძის 15, რაზმაძის 57, მარაბდის ქუჩა პოლიტკოვსკაიას 18, ჟვანიას 1 დამცავი ჯებირის მოწყობა მიმდებარედ, აბაშიძის 40 მხრიდან, რაზმაძის 11 წყნეთის ქუჩა 6კორპ ჩასასვლელი ხევში (თამარაშვილის 8)
5. სანიაღვრე სისტემის მოწყობა რეაბილიტაცია (არაყიშვილის 1 ჩიხი (შოშიტაიშვილის 6), არაყიშვილის სარწყავი, წყნეთის გზატკეცილი26-29, ფალიაშვილის 92, ფალიაშვილის 50)
6. სკვერების შეკეთება რეაბილიტაცია (ბაგები 2კორპ, ყიფშიძის 10-12, ჭავჭავაძის 11, მოსაშვილის ქ.#9, წყნეთი, არსენას ქ.#36 ვაჟა–ფშაველას 7კვ 6კორპ დ.ამილახვრის ქუჩა 31 დ.ამილახვრის ქუჩა 25 გეგეშიძის სკვერი, პოლიტკოვსკაიას 18ა)
7. საფეხბურთო მოედნების მოწყობა აღდგენა რეაბილიტაცია (პოლიტკოვსკაიას 18ა, თავხელიძის 1, ყაზბეგის 34, ატენის 2 შესახვევი 16, ატენის 18, ჭავჭავაძის 39, სტადიონი ლოკომოტივის გვერდით, წყნეთის ქუჩა 1-1ა კორპუსი, წყნეთი, ამილახვრის 31,წყნეთი, გაგრის 21)

გიორგი მუსხელიშვილი აქტიურად იყო ჩართული სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებში. ასევე უსახლკაროდ დარჩენილთა გადაყვანა-დაბინავებაში. ვაკის რაიონის გამგეობასთან და მუნიციპალიტეტთან ერთად კოორდინაციას უწევდა დაზარალებულთა კვების, ტანსაცმლის და დროებითი თავშესაფარის უზრუნველყოფის საკითხებს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვაკის რაიონის მაჟორიტარი წევრის, გიორგი მუსხელიშვილის , ოფისი მდებარეობს კავსაძის # 7-ში. დეპუტატთან მიღებების დღე არის ოთხშაბათი, ხოლო ოფისი ფუნქციონირებს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 დან 18:00 საათამდე.

პატივისცემით

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი

გიორგი მუსხელიშვილი